ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 3/10

2024 წლის 28 ივლისი

ქალაქი ფოთი

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ მცირე გრანტების პროგრამის (SGP) ფარგლებში დაფინანსებული ,,მერების შეთანხმებას მუნიციპალიტეტებში მზის ენერგიით უზრუნველყოფილი მდგრადი ურბანული ინფრასტრუქტურის მოწყობის" პროექტის განხორციელების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N1990 და 2020 წლის 31 დეკემბრის N2674 განკარგულებების შესაბამისად:

მუხლი1.
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს საკრებულოს თანხმობა, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ მცირე გრანტების პროგრამის (SGP) ფარგლებში დაფინანსებული ,,მერების შეთანხმებას მუნიციპალიტეტებში მზის ენერგიით უზრუნველყოფილი მდგრადი ურბანული ინფრასტრუქტურის მოწყობის" პროექტის განხორციელების თაობაზე.

მუხლი2.
აღნიშნული განკარგულების შესრულებასთან დაკავშირებით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს/მერის მოვალეობის შემსრულებელს მიენიჭოს ყველა უფლებამოსილება.

მუხლი3.
აღნიშნული განკარგულების შესრულებასთან დაკავშირებით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა/მერის მოვალეობის შემსრულებელმა განახორციელოს ღონისძიებები.

მუხლი4.
განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და ის გავრცელდეს 2024 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მუხლი5.
განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ტყებუჩავა